

განმარტებითი ბარათი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა კანონპროექტის მიღების მიზეზი

ავტონომიური ერთეულის განსაკუთრებული სტატუსი, რაც აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლით და განმტკიცებულია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ კონსტიტუციური კანონით, ითხოვს ავტონომიური ერთეულის სახელით მოქმედი (განსახილველ შემთხვევაში მხედველობაშია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო) ორგანოს კომპეტენციის განსხვავებულობასა და მასშტაბურობას თვითმმართველობის ორგანოების სისტემაში არსებულ ორგანოსთან შედარებით. უფრო მეტიც, „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონის აზრის გათვალისწინებით, კანონის მიზნის მისაღწევად მიზანშეწონილია ავტონომიური ერთეულის სახელით მოქმედი ორგანოს კომპეტენციისა და უპირატესობის ხაზგასმა.

ზემოაღნიშნულის მიღწევის ერთადერთი საშუალებაა აჭარის არქმშენინსპექციისათვის მის სამოქმედო არეალში, ე. ი. ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ უფლებამოსილებათა ნაწილის დელეგირებაა, რითაც კანონით აღჭურვილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დელეგირების შესაძლებლობას ითვალისწინებს კანონი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემაში არსებული უფლებამოსილი ორგანოების სასარგებლოდ, რაც განმტკიცებულია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონით (იხ. „არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქ. კანონის მ. 3, პუნქტი 3).

ანალოგიური შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების სისტემაში არსებული ზედამხედველობის ორგანოს სასარგებლოდ, რაც საკანონმდებლო ვაკუუმად უნდა ჩაითვალოს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა საკანონმდებლო აქტში დამატების შეტანის საჭიროება.

მიზანშეწონილია, კანონში დაემატოს ნორმა, რომელიც მიუთითებს სამინისტროსაგან უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობაზე აჭარის არქმშენინსპექციის სასარგებლოდ.

ა.ბ კანონპროექტის მიზანი

„არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით (მ. 2, პ. „ბ“) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განსახორციელებლად უფლებამოსილი ორგანოები არსებობს როგორც ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სისტემაში. კანონპროექტის მიზანია არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტურად განხორციელება, რაც გულისხმობს ზედამხედველობაზე უფლებამოსილი, ზემოაღნიშნული ორგანოების ფუნქციონირებას, მაგრამ უფლებამოსილებათა გამოიჯნვისა და სუბორდინაციის პრინციპის შენარჩუნებით.

ა.გ კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტი ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების ორგანოს კომპეტენციასთან დაკავშირებით ისეთ დამატებებს, როგორცაა:

1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალაქისა და რაიონის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისათვის მეთოდური ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის განხორციელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების ორგანოს მეშვეობით;
2. მოთავარი არქიმენინსპექციის უფლებამოსილებათა („არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი) განხორციელება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების ორგანოს მეშვეობით;
3. საქართველოს საკანონმდებლო აქტის, აგრეთვე ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილი დაწესებულების ორგანოსათვის უფლებამოსილების დელეგირებას.

ბ. კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების აუცილებლობას.

ბ.ბ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე
კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე
კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

ბ.დ სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები
კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას

ბ.ე კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება
კანონპროექტის მიღება არ გააუარესებს იმ პირობა ფინანსურ მდგომარეობას, რომელთა მიმართაც გავრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებელი, ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრას და შ საბამისად არ აღგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ. კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ.კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის ცვლილების პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ სამთავრობო დაწესებულებები

დ.ბ კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

კანონპროექტი არ ყოფილა წარდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტებისათვის.

დ.გ კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

დ.დ კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.